შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

2017 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში

იანვარი, 2018 წ.

შესავალი 3
I. ოკუპირებული ტერიტორიები 4
1. არსებული ვითარება 4
1.1. ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრები 7
1.2. სამშვიდობო პოლიტიკის ახალი ინიციატივები 8
1.3. ჩართულობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია 10
1.3.1. ჯანდაცვა 10
1.3.2. განათლება 12
1.3.3. კულტურული მემკვიდრეობა 13
1.3.4. დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის კომუნიკაცია 13
1.3.5. ევროსაბჭოს პროექტები 14
1.4. ევროკავშირის ჩართულობა და ევროინტეგრაცია 14
1.5. ქალების ჩართულობა სამშვიდობო პროცესში 16
1.6. გამყოფი ხაზით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა და დონორთა დახმარება 16
II. სამოქალაქო თანასწორობა და ინტეგრაცია 18
2. სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა 19
2.1. მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა 21
2.2. გენდერული მეინსტრიმინგი 22
2.3. მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა 23
2.4. ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება 24
2.4.1. სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება 27
2.5. სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია 28
2.6. კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება 29
2.7. საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია 31
2.8. საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება 32

შესავალი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ახორციელებს საქმიანობას ორი ძირითადი მიმართულებით - შერიგების, ნდობის აღდგენის, ჩართულობის პოლიტიკის ხელშეწყობა/განხორციელება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება; ასევე საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა, თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფა. სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფუნქციას წარმოადგენს ზემოაღნიშნული მიმართულებებით სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა, კოორდინაცია და იმპლემენტაცია.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, საქმიანობას ახორციელებს სხვა სახელმწიფო უწყებებთან, საერთაშორისო მთავრობათაშორის ორგანიზაციებთან და საერთაშორისო თუ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო პარტნიორობით.

შერიგების, ნდობის აღდგენისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მეტი ჩართულობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა არის სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. ამისათვის საქართველოს მთავრობას მშვიდობიანი, ღია, პრაგმატული და კონსტრუქციული კურსი აქვს არჩეული.

შერიგების, ნდობის აღდგენისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მეტი ჩართულობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა არის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა

2017 წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შეიმუშავა სამშვიდობო პროცესის ხედვა, რომელიც ემყარება სამშვიდობო პოლიტიკის 8 ამოცანას. აღნიშნული პოლიტიკის მთავარი მიმართულებებია მშვიდობის დაცვა და უზრუნველყოფა, ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია და რუსეთთან მიმართებაში სიტუაციის დეესკალაცია; პირდაპირი დიალოგი, ნდობის მშენებლობა და შერიგება აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან მიმართებით; საერთო ინტერესებზე დაფუძნებული თანამშრომლობა და პრობლემების გადაჭრა სტატუს ნეიტრალური და ჰუმანიტარული ფორმატების გამოყენებით; კონფლიქტით დაზარალებულ ადამიანებზე ზრუნვა, რაც გულისხმობს გამყოფი ხაზის მიმდებარედ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირებს; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთათვის საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში მეტი მომსახურებისა და შესაძლებლობის შეთავაზებას და მათზე ხელმისაწვდომობის გამარტივებას; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისათვის ევროკავშირთან და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობის და დაახლოების ფორმატებიდან გამომდინარე ახალი შესაძლებლობების და სარგებლის გაზიარება; სამშვიდობო პოლიტიკის ამოცანებისადმი საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზება,

საერთაშორისო თანამეგობრობასთან, პარტნიორებთან ეფექტური თანამშრომლობა, საერთაშორისო მექანიზმების ეფექტური გამოყენება/ამოქმედება.

ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვა, მათი სრულფასოვანი და ღირსეული მონაწილეობის უზრუნველყოფა ქვეყნის განვითარებაში, ტოლერანტული გარემოს დამკვიდრებისა და განმტკიცების ხელშეწყობა ქვეყნის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ამ მიზნების მიღწევას ემსახურება თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტი, „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა“, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2015 წლის 17 აგვისტოს №1740 განკარგულებით დაამტკიცა. სტრატეგია ეყრდნობა თანასწორობის პრინციპს და მიდგომას „მეტი მრავალფეროვნება, მეტი ინტეგრაცია“ და მიზნად ისახავს თანასწორი გარემოს ჩამოყალიბებას, ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვან თანამონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათი კულტურისა და იდენტობის დაცვას. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა განაგრძო სტრატეგიის ფარგლებში აღნიშნული პოლიტიკის განხორციელება/კოორდინირება.

ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვა, მათი სრულფასოვანი და ღირსეული მონაწილეობის უზრუნველყოფა ქვეყნის განვითარებაში, ტოლერანტული გარემოს დამკვიდრებისა და განმტკიცების ხელშეწყობა ქვეყნის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია

I. ოკუპირებული ტერიტორიები

1. არსებული ვითარება

საქართველოს ტერიტორიის 20% კვლავ ოკუპირებულია რუსეთის სამხედრო ძალების მიერ. გრძელდება მავთულხლართების და სხვა ბარიერების აღმართვა და განგრძობითი ოკუპაცია, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ანექსია, რასაც რუსეთი ახორციელებს ამ რეგიონებთან ურთიერთობების გაღრმავებისა და მათი სრული ინტეგრირების პარალელურად.

2008 წლიდან მოყოლებული რუსეთის ფედერაციას, სოხუმსა და ცხინვალს შორის გაფორმდა 250-ზე მეტი სხვადასხვა უკანონო შეთანხმება. მათ შორის - 2015 წლის 18 მარტს ცხინვალთან გაფორმებული ე.წ. შეთანხმება „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“ და 2014 წლის 24 ნოემბერს სოხუმთან გაფორმებული ე.წ. „შეთანხმება მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების დე ფაქტო ანექსიას. აღნიშნული შეთანხმებების ფარგლებში ორივე რეგიონში შეიქმნა „შინაგან საქმეთა სამინისტროების საინფორმაციო საკოორდინაციო ცენტრები“. ხელი მოეწერა შეთანხმებებს ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის „შეიარაღებული ძალების“ ცალკეული

დანაყოფების რუსეთის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შესვლის და რუსეთისა და აფხაზეთის გაერთიანებული სამხედრო დაჯგუფების შექმნის შესახებ.
გარდა ამისა, რუსეთის ფედერაცია აგრძელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ინტენსიურ მილიტარიზაციას. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რეგულარულად ტარდება უკანონო სამხედრო წვრთნები, ხოლო სამხრეთ ოსეთის სამხედროები მონაწილეობას იღებენ რუსეთის 58-ე არმიის წვრთნებში.
აფხაზეთის რეგიონის მიმართულებით 2017 წლის მარტში საოკუპაციო რეჟიმმა გამყოფ ხაზზე არსებული ორი გამშვები პუნქტი - ხურჩა-ნაბაკევი და ოტობაია-ორსანტია - გააუქმა. შედეგად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასასვლელად მოსახლეობას დარჩა მხოლოდ ერთი გადასასვლელი - ენგურის ხიდი (თუ არ ჩავთვლით საბერიო-ფახულანის გადასასვლელს, რომელიც უმთავრესად ტექნიკური და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისათვის გამოიყენება „ენგურჰესის თანამშრომლებისათვის“). აღნიშნული გადასასვლელების დაკეტვამ კიდევ უფრო გაართულა ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონის მიმართულებით გადაადგილების თავისუფლება, ადამიანთა შორის ურთიერთობები, სავაჭრო კავშირები, განათლებისა და სხვადასხვა სახელმწიფო სერვისებისადმი წვდომის შესაძლებლობა და უკიდურესად დაამძიმა ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობა.

განსაკუთრებით რთული მდგომარეობა არის გალის რაიონში, სადაც გრძელდება მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია

ჰუმანიტარული საკითხები. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით რთული მდგომარეობა არის გალის რაიონში, სადაც გრძელდება მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია, ქართულ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვა. 2016-2017 სასწავლო წლიდან მე-6 კლასის ჩათვლით ქართულ ენაზე სწავლება აიკრძალა გალის რაიონის ამ დრომდე დარჩენილ ქართული სკოლის სტატუსის მქონე 10 სკოლაში (წელსვე მოხდა სოფელ თაგილონში არსებული სკოლის გაუქმება და მოსწავლეები და პედაგოგები ნაბაკევის სკოლაში გადაანაწილეს), რაც წარმოადგენს ე.წ. რუსიფიკაციის პოლიტიკის გაგრძელებას. იმავდროულად, გალის რაიონში არ ფუნქციონირებს ქართულენოვანი საბავშვო ბაღი, რაც არის გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების უხეში დარღვევა. დაწესებული შეზღუდვების გამო საგრძნობლად შემცირდა იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც საშუალო განათლების მისაღებად საოკუპაციო ხაზს კვეთენ და გადმოდიან საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. რუსიფიკაციის პოლიტიკის ეს გამოვლინება გაგრძელდა ახალგორის რაიონის მიმართულებითაც. მიმდინარე წლიდან ყველა სკოლა გადავიდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის სწავლების ერთიან სისტემაზე და დაწყებით კლასებში (მე-4 კლასის ჩათვლით) გაკვეთილები რუსულ ენაზე ტარდება. (2017 წლის სექტემბრამდე აქ მოქმედი 11 სკოლიდან 6 იყო ქართული). ასევე, ანალოგიურ პროცესს აქვს ადგილი საჩხერის რაიონის ოკუპირებულ ნაწილში მდებარე სინაგურისა და ქარელის რაიონის ოკუპირებული ნაწილის სოფელ ახალშენის საშუალო სკოლებში. გალის რაიონში მცხოვრები მოსახლეობის მიმართ საოკუპაციო რეჟიმის მიერ წარმოებული პოლიტიკა მხოლოდ გადასასვლელების გაუქმებითა

და სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვით არ შემოიფარგლება; ადგილი აქვს ეთნიკური წარმომავლობისა და იდენტობის შეცვლის აქტიურ მცდელობებს. ამ მიზნით, დე ფაქტო ხელისუფლება გალის რაიონის მოსახლეობას აიძულებს ქართული გვარების შეცვლას აფხაზურით, რასაც უწოდებს ,,ისტორიულ ფესვებთან" (,,სამურზაყანოს აფხაზებთან") დაბრუნების პროცესს. 2017 წლის მიმდინარე მონაცემებით, საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სამურზაყანოს აფხაზთა საბჭოს" ინფორმაციით გალის რაიონში 300 განცხადება შევიდა გვარისა და ეროვნების შეცვლის შესახებ.

ამ გზით დე ფაქტო რეჟიმი ცდილობს წაშალოს ქართული კვალი ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე. ეს ქმედება მიზანმიმართულად ხორციელდება არამხოლოდ ადამიანების იდენტობის შეცვლისათვის, არამედ ქალაქების, სოფლებისა და ქუჩების სახელწოდებების შეცვლის კუთხითაც, რათა მთლიანად მოხდეს ქართული კვალის წაშლა აფხაზეთის ტერიტორიაზე.

გალის რაიონის მოსახლეობის იდენტობის იძულებით შეცვლის პროცესის პარალელურად, რომელიც დაკავშირებულია აფხაზური ე.წ. პასპორტების აღების პროცესთან, მოსახლეობა იძულებულია აიღოს ,,ბინადრობის მოწმობა", რომელიც შემოღებულ იქნა "აფხაზეთის რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" ე.წ. კანონის შესაბამისად და „ძალაშია" 2016 წლის 1 აპრილიდან.

ე.წ. ბინადრობის მოწმობის აღება შეუძლიათ მათ, ვინც აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს როგორც მინიმუმ, 1999 წლიდან 10 წლის განმავლობაში. აღნიშნული „დოკუმენტის" მფლობელს ეკრძალება: აფხაზეთის ტერიტორიის დატოვება 6 თვეზე მეტი ვადით; ე.წ. არჩევნებში და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა და უძრავი ქონების ყიდვა. ამასთან ერთად, ე.წ. ბინადრობის მოწმობის არქონა პრობლემებს უქმნის მოსახლეობას გადაადგილებისას. დღეისათვის უკვე შეტანილია 4054 განცხადება, აქედან გაცემულია 968.

პრიორიტეტულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა უფლებების დაცვა, მათთვის ყოფითი და ჰუმანიტარული საკითხების მოგვარება

არსებულ ვითარებაში განსაკუთრებით პრიორიტეტულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა უფლებების დაცვა, მათთვის ყოფითი და ჰუმანიტარული საკითხების მოგვარება. მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს გადაადგილების თავისუფლების, მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური დაბრკოლებების შედეგად სამეურნეო მიწებსა და სავარგულებზე, ასევე სამედიცინო და სხვა სერვისებიდამი წვდომის, ნათესავებთან და გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ ადამიანთა შორის კონტაქტის უზრუნველყოფის და ჰუმანიტარული ხასიათის პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, რაც თავის მხრივ, დეოკუპაციისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისაკენ მიმართული ერთიანი სტრატეგიის ნაწილია.

მნიშვნელოვანია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ" რეზოლუციის მზარდი მხარდაჭერა. საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა მიმართულია რეზოლუციით გათვალისწინებული მოთხოვნების

შესრულებისკენ და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უზრუნველყოფისკენ.

1.1. ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრები

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა და სხვა პრობლემური საკითხები მუდმივად განიხილება სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატებში და ფორუმებზე. რეგულარულად მიმდინარეობს კონსულტაციები საერთაშორისო პარტნიორებთან და ორგანიზაციებთან, მათ შორის ევროკავშირთან, აშშ-სთან, ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებთან და საერთაშორისო საზოგადოებასთან.

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მეორე სამუშაო ჯგუფს, სადაც განიხილება საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილების საკუთარ საცხოვრებელ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების და ასევე სხვა ჰუმანიტარული საკითხები, ხელმძღვანელობს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე. 2017 წელს გაიმართა ჟენევის დისკუსიების ოთხი რაუნდი (ჯამში ჩატარდა მოლაპარაკებების 42 რაუნდი).

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატის ფარგლებში ქართული მხარის მიერ განიხილებოდა შემდეგი საკითხები:

- ძალის გამოუყენებლობა, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნება;
- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები;
- საოკუპაციო ხაზებზე ადამიანების თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა/აკრძალვა;
- ე.წ. გამშვები პუნქტების დახურვა;
- მავთულხლართებისა და სხვა ბარიერების აღმართვის პროცესით შექმნილი პრობლემები;
- უკანონო მილიტარიზაცია;
- მკვლელობის, გატაცების, გამოძალვისა და სხვა კრიმინალური შემთხვევები;
- მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვა;
- საკუთრების უფლების დაცვა;
- უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიება;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- ბავშვთა უფლებების დარღვევა.

მოლაპარაკებების ჰუმანიტარულ ჯგუფში ბოლო რაუნდების განმავლობაში განსაკუთრებით პრიორიტეტულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეთნიკური ქართველებით დასახლებულ რაიონებში არსებული მდგომარეობა. ამ თვალსაზრისით ყველაზე დიდი ყურადღება გალისა და ახალგორის მოსახლეობას ეთმობა. კერძოდ, გალში მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვის საკითხი განხილვის ერთ-ერთ უმწვავეს თემად რჩება. მიღებულ იქნება ყველა საჭირო ზომა საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირების და მხარდაჭერის მოპოვების კუთხით. საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით აქტიურად გაგრძელდება მუშაობა აღნიშნული ფუნდამენტური უფლების უზრუნველყოფის მიზნით.

ამასთან, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებზე გრძელდება ისეთი თემების განხილვა როგორიც არის: არქივების საკითხებზე თანამშრომლობის, გარემოს დაცვის, სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფის, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების და ყველა ის საკითხი, რომელიც მოსახლეობის ყოველდღიურ საჭიროებებს უკავშირდება. აღნიშნულის ირგვლივ მიმდინარეობს მუშაობა და გარკვეული თანამშრომლობა, რაც ქართული მხარის კონსტრუქციული და ჰუმანიტარული მიდგომების პირობებში და საერთაშორისო პარტნიორების აქტიური მხარდაჭერის ფონზე შემდგომშიც გაგრძელდება და განვითარდება.

აფხაზეთის რეგიონში კოლხური ბზის გადარჩენისა და სხვადასხვა მავნებლებთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმების შემუშავების მიზნით 2017 წლის აპრილში ვენაში (ავსტრია) შეხვდრა გაიმართა ქართველ და აფხაზ სპეციალისტებს შორის. მონაწილეებმა განიხილეს არსებული მდგომარეობა, გამოწვევები და სამომავლო ნაბიჯები.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი სისტემატურად არის ჩართული ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) მუშაობაში. თვეში ერთხელ აპარატის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ ერგნეთში და გალში მიმდინარე შეხვედრებში, სადაც რეგულარულად განიხილება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის სხვადასხვა ფაქტები. ამ მხრივ აღსანიშნავია ადგილობრივი მოსახლეობის უკანონო დაკავება და დაპატიმრება გამყოფი ხაზის ე.წ. "უკანონო გადაკვეთის" ბრალდებით. გარდა ამისა, IPRM-ის შეხვედრებზე დასმულ საკითხებს შორის მუდმივად დგას გიგა ოთხოზორიას მკვლელობაში ბრალდებული პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის, ყაჩაღობის, ძალადობის, სხვადასხვა სამუშაოზე უსასყიდლოდ იძულებით გაყვანის, თანხის გამოძალვის მიზნით გატაცების, მკვლელობისა და ქონების მისაკუთრების შემთხვევების, მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის თემები. ქართული მხარის ძალისხმევის შედეგად 2017 წლის 26 ნოემბერს შესაძლებელი გახდა გიორგი გიუნაშვილის უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლება.

1.2. სამშვიდობო პოლიტიკის ახალი ინიციატივები

საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტულია აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან ნდობის აღდგენა და პირდაპირი დიალოგი, იმისათვის, რომ წლების განმავლობაში შექმნილი

გაუცხოვების შემდეგ გაჩნდეს ნდობის აღდგენისა და გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის კონკრეტული პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობები.

2017 წელს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, სხვა სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, შეიმუშავა ახალი სამშვიდობო პოლიტიკის ინიციატივა, რაც ეფუძნება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესებსა და საჭიროებებს, ასევე, ემსახურება საზოგადოებებს შორის დიალოგის, შერიგებისა და ნდობის აღდგენის მიზნებს. ინიციატივის მიზანია ჰუმანიტარული და სტატუს-ნეიტრალური მიდგომების გამოყენებით ისე წაახალისოს სავაჭრო ურთიერთობები, რომ შესაძლებელი გახდეს გამყოფი ხაზების გასწვრივ ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება, იმისათვის რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას გაუჩნდეს ეკონომიკური სარგებლის მიღების ახალი გზები და შესაძლებლობები. სტატუს-ნეიტრალური მიდგომები, თავის მხრივ, გულისხმობს კონკრეტული ჰუმანიტარული ამოცანების შესრულებისას, სტატუსის თემასთან შეხების გარეშე, საკითხების დეპოლიტიზაციას. აღნიშნული ინიციატივების ამოცანაა საგრძნობლად გააუმჯობესოს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ასევე დადებით გავლენას იქონიებს გადაადგილების თავისუფლებაზე და ადამიანთა შორის ურთიერთობების გაღრმავებაზე.

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, სხვა სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, შეიმუშავა ახალი სამშვიდობო პოლიტიკის ინიციატივა

სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში ასევე მოიაზრება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის სახელმწიფოებრივ სივრცეში საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაზრდისა და გამარტივების, განათლების ყველა საფეხურისადმი ხელმისაწვდომის, ხარისხიანი განათლების მიღების და საერთაშორისო განათლებაზე წვდომის უზრუნველყოფა.

სამშვიდობო ინიციატივის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს აფხაზური ენის დაცვა და შენარჩუნება

სამშვიდობო ინიციატივის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს აფხაზური ენის დაცვა და შენარჩუნება. 2017 წლის 27 ოქტომბერს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც მხარეები ერთიანი ძალისხმევით იზრუნებენ აფხაზური ენის დაცვის, შენარჩუნების, განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის, ხელს შეუწყობენ შესაბამის საკითხებზე მომუშავე ქართველი და აფხაზი სპეციალისტებისა და პროფესიული ჯგუფების თანამშრომლობასა და ორმხრივი ნდობის პროექტების განხორციელებას. ამასთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შექმნის აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამას, რომლის

ფარგლებშიც სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებს, მკვლევარებს და დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ წარადგინონ აფხაზური ენის შესწავლის, დაცვისა და განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები და მიიღონ სათანადო დაფინანსება.
სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესით, მათ შორის ასოცირების შეთანხმებით, შექმნილი სარგებელი ხელმისაწვდომი გახადოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის გრძელვადიან პერსპექტივაში. ამ მხრივ ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღება წარმოადგენს ევროინტეგრაციის კიდევ ერთ ხელშესახებ სარგებელს, რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის. უვიზო რეჟიმით სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით, სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც გაამარტივებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების მიერ საქართველოს მოქალაქის პასპორტის აღების პროცედურებს.

1.3. ჩართულობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია

საქართველოს მთავრობა მოწოდებულია, ოკუპირებული ტერიტორიების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის - მოსახლეობა სარგებლობდეს იმ უფლებებითა და პრივილეგიებით, რაც ხელმისაწვდომია საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის. ამ მიზნით გაგრძელდა ჩართულობის სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

1.3.1. ჯანდაცვა

ჯანდაცვის უფასო მომსახურება წარმოადგენს ჩართულობის სტრატეგიის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მიმართულებას. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები სარგებლობენ სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამით, რომელთა შორის უმთავრესია „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამა. მასში მონაწილეობის მისაღებად ოკუპირებული რეგიონების მცხოვრებნი განცხადებით მიმართავენ სახელმწიფო მინისტრის აპარატს, რომელიც თავის მხრივ, შუამდგომლობას უწევს მათ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. სახელმწიფო ცდილობს, აღნიშნული პროგრამა მაქსიმალურად დაცული იყოს ბიუროკრატიისაგან. 2017 წელს რეფერალური პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა ასევე მიეცათ გალის რაიონში მცხოვრებ პირებს.

ჯანდაცვის უფასო მომსახურება წარმოადგენს ჩართულობის სტრატეგიის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მიმართულებას

მიუხედავად მავთულხლართებისა და გამყოფ ხაზზე გადაადგილების მაქსიმალური შეზღუდვისა, 2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა ცხინვალის რეგიონიდან მკურნალობის მსურველთა რაოდენობა. მკურნალობის მსურველთა 70% დანარჩენ საქართველოში ჩამოდის ლარსის გამშვები პუნქტიდან, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც მათ სიცოცხლის რისკის ფასად მავთულხლართებისა და საოკუპაციო რეჟიმის გვერდის ავლით უხდებათ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა. ამასთანავე, რამდენჯერმე გაზრდილია აფხაზეთის რეგიონიდან გადმოსულ რეფერალურ პროგრამაში ჩართულ პაციენტთა რაოდენობა. საერთო ჯამში, ბოლო პერიოდის განმავლობაში მზარდი დინამიკა შეინიშნება. 2013 წლის თებერვალში საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული საყოველთაო დაზღვევის პროგრამა გავრცელდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები, ნეიტრალური დოკუმენტების მფლობელი მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფზე.

გაგრძელდა 2015 წლის აპრილში ამოქმედებული C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, რომელშიც ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების ინიციატივით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებმა მოქალაქეებმაც შეძლეს მონაწილეობის მიღება. ეს არის დამატებითი სიკეთე, რაც ძვირადღირებული მკურნალობის უფასოდ შეთავაზებას გულისხმობს და პირდაპირ უკავშირდება ათასობით ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებას. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია როგორც აფხაზეთის, ისე ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის. 2017 წლის მარტში ზუგდიდში გაიხსნა C ჰეპატიტის მართვის ცენტრი, რომელიც მოემსახურება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს და C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართვა შესაძლებელი გახდა სტატუს ნეიტრალური დოკუმენტების საფუძველზე.

აფხაზეთის რეგიონში მცხოვრებ მოქალაქეებს გაეროს განვითარების პროგრამის ქვეშ მოქმედი და ჩართულობის სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში შექმნილი „საკოორდინაციო მექანიზმის“ მეშვეობით რეგულარულად მიეწოდება სხვადასხვა მედიკამენტები და ვაქცინები, რომელთა თვითღირებულება წელიწადში 500 000 ლარზე მეტს შეადგენს. 2017 წლის განმავლობაში აფხაზეთის რეგიონს მიეწოდა იმუნიზაციის ვაქცინები, B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინები, C ჰეპატიტის ტესტები, დიაბეტის საწინააღმდეგო წამლები, ტუბერკულოზის და შიდსის საწინააღმდეგო მედიკამენტები.

საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით აფხაზეთის რეგიონს გადაეცა სასწრაფო დახმარების მანქანები, სამედიცინო ინვენტარი, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვადასხვა სამედიცინო დანიშნულების ნივთი.

2017 წელს საქართველოს მთავრობის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ჯანდაცვის მომსახურებაზე დახარჯული თანხების ოდენობამ შეადგინა დაახლოებით 4 მილიონი ლარი (2013-2016 წწ. განმავლობაში ამ თანხამ 18 მლნ. ლარს გადააჭარბა).

ჯანდაცვის მომსახურების მიღების გამარტივების მიზნით, საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს, ზუგდიდთან, სოფ. რუხში დასრულდა 220-ადგილიანი მრავალპროფილიანი, საერთო საცხოვრებლის მქონე საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა, რომელიც მოემსახურება

ასევე ოკუპირებული რეგიონების მცხოვრებთ. ამჟამად მიმდინარეობს კლინიკის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა.

საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს, ზუგდიდთან, სოფ. რუხში დასრულდა 220-ადგილიანი მრავალპროფილიანი, საერთო საცხოვრებლის მქონე საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა, რომელიც მოემსახურება ასევე ოკუპირებული რეგიონების მცხოვრებთ.

სოფელ რუხში დასრულდა მრავალპროფილიანი, საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა, რომელიც ასევე მოემსახურება ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობას

1.3.2. განათლება

2017 წლის 11 იანვარს ცვლილებები განხორციელდა „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 1 დეკემბრის N1067 ბრძანებაში. ცვლილებების თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს უმაღლესი განათლების აღიარების თაობაზე სათანადო განაცხადი შეუძლიათ წარადგინონ ონლაინ, მათ შორის აფხაზურ ენაზე, ან საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით. საერთაშორისო ორგანიზაციას ასევე ეძლევა შესაძლებლობა ჩაერთოს აღიარების პროცედურაში და დაინტერესებული პირის სახელით წარმოადგინოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც იძლევა განათლების აღიარების შესაძლებლობას დანარჩენ საქართველოში მგზავრობის და მოწმეების წარმოდგენის გარეშე. გარდა ამისა, გაუქმდა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის წარმოდგენის ვალდებულება. განხორციელებული ცვლილებები ამცირებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარების ტექნიკურ დაბრკოლებებს და გზას უხსნის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს სწავლის გასაგრძელებლად დანარჩენ საქართველოში ან/და საზღვარგარეთ.

საქართველოს მთავრობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისათვის საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე განათლების მიღების შესაძლებლობის წახალისების მიზნით კვლავაც ახორციელებდა სპეციალურ “1+4” პროგრამას, რომელიც საშუალებას აძლევს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს ჩაირიცხონ და ისწავლონ ქვეყანაში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამარტივებული პროცედურების საფუძველზე.

2016-2017 სასწავლო წწ. ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან (გალის რაიონი და კოდორის ხეობა) სახელმწიფომ დააფინანსა 91 სტუდენტის სწავლა, ასევე კვლავ გაგრძელდა გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლის დაფინანსება.

1.3.3. კულტურული მემკვიდრეობა

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ქართული კულტურულ-ისტორიული და რელიგიური მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობა ყოველდღიურად მძიმდება. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გრძელდება უძველესი, ძირითადად ქართული ნიმუშების მიზანმიმართული განადგურება და მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესია-მონასტრების ახალი - არაქართული სტილის ტაძრებით ჩანაცვლება.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მოამზადა დოკუმენტები ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ქართული კულტურულ-ისტორიული და რელიგიური მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის და აფხაზეთში „შავი არქეოლოგიის“ შესახებ. აღნიშნული მასალები გაეგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროს. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხა განისაზღვრა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ, ხოლო UNESCO-სთან შემდგომი მოლაპარაკებები წარიმართა საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობით.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი არაერთხელ წარსდგა ანგარიშით საქართველოს პარლამენტის კომიტეტების წინაშე ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის თაობაზე. აპარატის თანამშრომლები ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ შექმნილი უწყებათაშორისო კომისიის სხდომებში.

1.3.4. დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის კომუნიკაცია

საქართველოს მთავრობა აქტიურად აგრძელებს დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ეფექტიანი კომუნიკაციის, ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელების და სახალხო დიპლომატიის მხარდაჭერას. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი იყენებს ყველა შესაძლებლობას აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან კომუნიკაციის განხორციელებისთვის და აქტიურად მუშაობს დიალოგისა და ნდობის აღდგენის ახალი შესაძლებლობების შექმნისათვის. სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლები რეგულარულად მონაწილეობენ საერთაშორისო ორგანიზაციების სხვადასხვა პროექტებში, რომელთა მიზანს წარმოადგენს კონფლიქტით დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენა და თემატური დიალოგი. ერთ-ერთი ამგვარი შეხვედრა გაიმართა 2017 წლის ივლისში ბერლინში ქართული და აფხაზური საზოგადოების წარმომადგენლების, მათ შორის პოლიტიკოსების, ექსპერტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. გარდა ამისა, სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლებმა 2017 წელს დამატებით მონაწილეობა მიიღეს როგორც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამართულ 13 ქართულ-აფხაზურ და ერთ ქართულ-ოსურ შეხვედრაში. აღნიშნული შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა კონფლიქტით

დაშორიშორებულ საზოაგადოებებს შორის დიალოგი, ნდობის აღდგენა, ერთობლივ სასწავლო ვიზიტში მონაწილეობა, განათლების, ჯანდაცვის, ვაჭრობის, გარემოს დაცვის და სხვა თემების განხილვა, არსებულ გამოწვევებზე საუბარი, ა.შ.

1.3.5. ევროსაბჭოს პროექტები

სახელმწიფო მინისტრის აპარატთან მჭიდრო თანამშრომლობით და საკოორდინაციო მექანიზმის ჩართულობით, 2017 წლის განმავლობაში ჩატარდა ევროპის საბჭოს ნდობის აღდგენის არაერთი პროექტი, რომლებიც ითვალისწინებს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები სხვადასხვა პროფესიული ჯგუფის შეხვედრებს ნეიტრალურ ტერიტორიებზე:

- საბჭოთა დროის რეპრესიების შესახებ ერთობლივი ქართულ-აფხაზური გამოცემის პრეზენტაცია თბილისსა და სოხუმში;
- ქართველი და აფხაზი საარქივო მასალების ექსპერტთა შეხვედრა ვენეციაში (იტალია) შემდგომი თანამშრომლობის მიმართულებების განსაზღვრის მიზნით;
- ქართველი და აფხაზი ექიმების სასწავლო ვიზიტი ქ. ლისაბონში (პორტუგალია) ნარკოტიკული დამოკიდებულის პრევენციისა და მკურნალობის საკითხებზე; ქართველი და აფხაზი სპეციალისტის ერთობლივი ტრენგინგი ისრაელში;
- ქართველი და აფხაზი ომბუდსმენების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შეხვედრა ადამიანის უფლებათა დარღვევების საკითხებთან დაკავშირებით ქ. ბუდაპეშტში (უნგრეთი);
- აფხაზური ენის მცოდნე ქართველი და აფხაზი სპეციალისტების ტრენინგი სინქრონული თარგმანის ტექნიკაში ქ. ბუდაპეშტში (უნგრეთი);
- ქართველი, აფხაზი და ოსი ახალგაზრდების მონაწილეობა სამშვიდობო ბანაკში ქ. სტრასბურგში (საფრანგეთი);
- ქართველი და აფხაზი განათლების ექსპერტების და მასწავლებლების სასწავლო ვიზიტი ბასკეთში (ესპანეთი) ბილინგვური განათლების თემაზე;
- ქართველი და აფხაზი მუზეუმის ექსპერტების სასწავლო ვიზიტი რომში (იტალია) მუზეუმის მენეჯმენტის თემაზე;
- ქართველი და აფხაზი ფსიქოლოგების ტრენინგი ვენეციაში (იტალია) ბავშვთა მიმართ ძალადობის თემაზე.

1.4. ევროკავშირის ჩართულობა და ევროინტეგრაცია

სამშვიდობო პოლიტიკის მხარდაჭერის და ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან და სხვა საერთაშორისო

პარტნიორებთან. ამ მხრივ სახელმწიფო მინისტრის აპარატი მნიშვნელოვან როლს ასრულებს არაერთ საერთაშორისო ფორმატში, რომლებშიც რეგულარულად იღებს მონაწილეობას.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ამოცანას წარმოადგენს უზრუნველყოს ევროინტეგრაციის პროცესით წარმოქმნილი სარგებელის ხელმისაწვდომობა ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობისათვის.

კონფლიქტის მოგვარების ნაწილში ასოცირების დღის წესრიგი ითვალისწინებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის კონფლიქტის გადაწყვეტისა და ჩართულობის მექანიზმების ერთობლივ შემუშავებას, კონსულტაციების გამართვას ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავების პროცესში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ჩასართავად გზების მოძიების მიზნით. ევროკავშირი მხარს უჭერს ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელებას, ხალხთა შორის კონტაქტების გაღრმავების მხარდაჭერას და ადგილობრივი ინიციატივების წახალისებას.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ამოცანას წარმოადგენს უზრუნველყოს ევროინტეგრაციის პროცესით წარმოქმნილი სარგებელის ხელმისაწვდომობა ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობისათვის

საანგარიშო წლის დეკემბრის თვეში გაიმართა ასოცირების კომიტეტის მორიგი სხდომა, სადაც განხილული იყო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა, მიმდინარე გამოწვევები და პრობლემური საკითხები, აგრეთვე შერიგების პოლიტიკისა და ჩართულობის სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელება, კერძოდ საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის გაწეული დახმარება, მიმდინარე პროექტები და შეთავაზებული სარგებელი.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული გამოწვევების ფონზე, ხელი შეუწყოს ადგილზე ევროკავშირის უწყვეტ ჩართულობას არაღიარების პოლიტიკის ერთიანი ქოლგის ქვეშ.

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, პრაქტიკულად ყოველდღიურ რეჟიმში, აწარმოა კონსულტაციები საერთაშორისო ორგანიზაციებთან მათი ჩართულობის შენარჩუნებისა და გაძლიერების მიზნით, მიუხედავად იმ დიდი ზეწოლისა და შეზღუდვებისა, რომელსაც ისინი აწყდებიან ამ ტერიტორიებზე შესვლისა და საქმიანობის კუთხით. საყურადღებოა, გასული ოთხი წლის განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ოკუპირებული რეგიონების თემატიკაზე წამოწყებული დამატებითი 266 პროექტი.

ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობის წარმომადგენლებისათვის საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესზე ინფორმაციის მიწოდების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის სამთავრობო სტრატეგიის 2017-2020 წლებისთვის განხორციელებაში. ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის ამოქმედების პარალელურად, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გაავრცელა ვიდეო რგოლი, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს უმარტავს ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის ხელმისაწვდომობას და უვიზო მიმოსვლის წესებს.

1.5. ქალების ჩართულობა სამშვიდობო პროცესში

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი აგრძელებს ქალთა ჩართულობის ხელშეწყობას სამშვიდობო პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული კონფლიქტების დროს ყველაზე მეტად ქალები და ბავშვები ზარალდებიან, ქალები მშვიდობის მშენებლობასა და შერიგების პროცესში უფრო აქტიურები არიან. მათი პოტენციალის გამოყენება კონფლიქტის პრევენციასა და ნდობის განმტკიცებაში მნიშვნელოვანია.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად არის ჩართული „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელებისთვის საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განხორციელების პროცესში. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1325 და შემდგომი რეზოლუციები მიზნად ისახავს ქალთა როლის გაძლიერებას პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობის საკითხებში, ასევე, მის მოგვარებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. მასში ხაზგასმულია იმ საერთაშორისო ჰუმანიტარული, ადამიანის უფლებებისა და სამართლის ნორმების განხორციელების აუცილებლობა, რომლებიც კონფლიქტებში და მათ შემდეგ, ქალთა და გოგონათა უფლებებს იცავს. 2016-2017 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში უწყებამ გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრობლობით 12 გაცვლითი საინფორმაციო შეხვედრა გამართა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებისა და ინციდენტებზე პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. რეგულარული დიალოგის მექანიზმის ფარგლებში გაჟღერებული რეკომენდაციები, მათ შორის კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების და ბავშვების უფლებების დაცვა; მათ საჭიროებებზე შესაბამისი რეაგირება; ნდობის აღდგენის პროცესებში ქალთა ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი სამშვიდობო ინიციატივების მხარდაჭერა, გათვალისწინებულია. სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოებასთან და დონორ ორგანიზაციებთან.

1.6. გამყოფი ხაზით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა და დონორთა დახმარება

სახელმწიფო მინისტრის აპარატი 2013 წლიდან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის ფარგლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად კოორდინაციას უწევს გამყოფი ხაზის სიახლოვეს მდებარე სოფლებში სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ცალკეული ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელებას. 2013 წლიდან მოყოლებული აღნიშნულ სოფლებში პერმანენტულად

ხორციელდება მოსახლეობის საჭიროებიდან გამომდინარე მთელი რიგი სოციალური, ინფრასტრუქტურული, ჯანდაცვითი, საგანმანათლებლო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის ღონისძიებები. საანგარიშო პერიოდში გატარებულ ღონისძიებათა შორის ხაზი განსაკუთრებულად უნდა გაესვას შემდეგს:

- გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის 2016 წლის 4 ნოემბერს მიღებული იყო გადაწყვეტილება, აუნაზღაურდეთ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას 2016-2017 წლის ზამთრის პერიოდში მოხმარებული ბუნებრივი გაზის გადასახადი თითოეულ ოჯახზე 200 ლარის ოდენობით. ჯამში გამოიყო 2 378 800 ლარი 11 894-ს ოჯახზე, კერძოდ:
  - ✓ იმ ოჯახებისათვის, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან ბუნებრივი აირის აბონენტად, თითოეულ აბონენტზე 200 (ორასი) ლარის დარიცხვის მიზნით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ გამოყო 2 233 200 (ორი მილიონ ორას ოცდაცამეტი ათას ორასი) ლარი;
  - ✓ იმ ოჯახებისათვის, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ბუნებრივი აირის აბონენტად, თითოეულ ოჯახზე 200 (ორასი) ლარის გასაცემად ენერგეტიკის სამინისტრომ მუნიციპალიტეტებს გამოუყო 145 600 (ას ორმოცდახუთი ათას ექვსასი) ლარი, კერძოდ:
    - **ქარელის მუნიციპალიტეტს** - 67 400 (სამოცდაშვიდი ათას ოთხასი) ლარი;
    - **ონის მუნიციპალიტეტს** - 28 400 (ოცდარვა ათას ოთხასი) ლარი;
    - **გორის მუნიციპალიტეტს** - 24 800 (ოცდაოთხი ათას რვაასი) ლარი;
    - **კასპის მუნიციპალიტეტს** - 16 400 (თექვსმეტი ათას ოთხასი) ლარი;
    - **საჩხერის მუნიციპალიტეტს** - 8 600 (რვა ათას ექვსასი) ლარი.

- კომისიის გადაწყვეტილებით, 2018 წელს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოყო 2 435 600 (ორი მილიონ ოთხას ოცდათხუთმეტი ათას ექვსასი) ლარი. იმ ოჯახებს, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან ბუნებრივი აირის აბონენტებად, აბონენტზე დაერიცხათ 200 (ორასი) ლარი, ხოლო იმ ოჯახებს, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ბუნებრივი აირის აბონენტებად, გადაეცათ 200 (ორასი) ლარი. აღშნული დახმარებით ჯამში ისარგებლა 12 178 ბენეფიციარმა, მათ შორის:
  - ✓ **გორის მუნიციპალიტეტიდან** - 7909;
  - ✓ **ხაშურის მუნიციპალიტეტიდან** - 194;
  - ✓ **კასპის მუნიციპალიტეტიდან** - 527;
  - ✓ **ქარელის მუნიციპალიტეტიდან** - 2875;
  - ✓ **საჩხერის მუნიციპალიტეტიდან** - 366;
  - ✓ **ონის მუნიციპალიტეტიდან** - 138;
  - ✓ **დუშეთის მუნიციპალიტეტიდან** - 169 ბენეფიციარი.

- დასრულდა 62 სოფლის გაზიფიცირება; გაზის ქსელზე დაერთება და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის აბონენტად დარეგისტრირება. საერთო ჯამში გაზიფიცირებულია 13 913 აბონენტი.
- ქარელის, ხაშურის, კასპისა და გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოეწყო 20 სასმელი წყლის ჭაბურღილი.
- 2017 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობისათვის ახორციელებდა ყველა იმ პროგრამასა და პროექტს, რასაც ყველა სხვა დანარჩენ რეგიონებში. მათ შორის: სსიპ „აწარმოე საქართელოში“ მიერ განხორციელებული პროგრამები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში დანერგე მომავალი, აგროდაზღვევა, აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების პროექტი, შეღავათიანი აგროკრედიტი და სხვა. აღნიშნული პროგრამები და პროექტები ითვალისწინებდა ადგილობრივი თემის საჭიროებებსა და შესაძლებლობებს.
- გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული ოჯახების 846 სტუდენტს, რომლებიც ჩარიცხული არიან ბაკალავრიატის და მაგისტრატურის პროგრამებზე, დაუფინანსდა 2016-2017 სასწავლო წლის სწავლის საფასური. სტუდენტების სწავლის დაფინანსებისთვის გამოიყო 1.7 მლნ. ლარი. 2017-2018 სასწავლო წლის პირველ სემესტრში კი გამყოფი ხაზის სოფლებიდან დაფინანსდა 1168 სტუდენტი, აქედან 989 ბაკალავრი და 179 მაგისტრანტი. პირველი სემესტრის თანხამ შეადგინა 1 221 650 ლარი.
- სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა და საკომუნიკაციო საშუალებებით აღიჭურვა სკოლები, განახლდა სასკოლო ბიბლიოთეკები. 2015-ზე მეტი მოსწავლე უზრუნველყოფილ იქნა სასკოლო ტრანსპორტით.

II. სამოქალაქო თანასწორობა და ინტეგრაცია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის კუთხით სახელმწიფო მინისტრის აპარატმა განახორციელა არაერთი პროექტი და ღონისძიება, რაც ემსახურებოდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის გაზრდას/გაუმჯობესებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათი კულტურის მხარდაჭერასა და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფას.

საქმიანობა წარიმართა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან მჭიდრო თანამშრომლობით. სახელმწიფო მინისტრის აპარატმა განაგრძო „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ ეფექტურად განხორციელების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის განხორციელება. კერძოდ, გაიმართა კომისიის გაფართოებული სხდომები, გასვლითი შეხვედრები, ასევე თემატური

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებისა და მშობლიური ენების სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართულებით, შემუშავდა წინადადებები და რეკომენდაციები.

წლის განმავლობაში გაგრძელდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის იმპლემენტაციის პროცესი; დაიგეგმა და განხორციელდა პროგრამები, პროექტები და ღონისძიებები, რაც მიმართული იყო სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტული მიზნების მისაღწევად:

- თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა;
- ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება;
- ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა.

2. სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის უზრუნველყოფა სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია, რაც თავის მხრივ გულისხმობს მათი წარმომადგენლობის გაუმჯობესებას როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობაში ჩართული არიან ეთნიკური უმცირესობები. აღსანიშნავია, რომ კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ეთნიკური უმცირესობები მოსახლეობის პროპორციულად არიან წარმოდგენილნი.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის არჩევნებისთვის მნიშვნელოვანი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა არჩევნებში თანასწორი და აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) განახორციელა შემდეგი მნიშვნელოვანი აქტივობები:

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ეთნიკური უმცირესობები მოსახლეობის პროპორციულად არიან წარმოდგენილნი

- სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა და დაიბეჭდა სხვადასხვა საარჩევნო დოკუმენტაცია[1];

[1] საარჩევნო ბიულეტენი; ამომრჩეველთა ერთიანი სია (კედელზე გასაკრავი და სამაგიდო); ამომრჩევლის სამახსოვრო „ხმის მიცემის ამსახველი პროცედურები“; საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია; კომისიის თავმჯდომარის სამახსოვრო ინსტრუქცია; ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციები; საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებანი კენჭისყრის დღეს; ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები; საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები; გადასატანი

- სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ცესკოს მიერ მომზადებული 15 საინფორმაციო ვიდეო რგოლი განთავსდა რეგიონული ტელევიზიების ეთერში;
- განხორციელდა ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა გადამზადება. საქართველოს მასშტაბით, ტრენინგები ჩაუტარდა საუბნო საარჩევნო კომისიის 47 259 წევრს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ 2 782 წევრს;
- ცესკოსთან არსებული სწავლების ცენტრის მიერ დაფინანსდა 8 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტი, რომელთა საერთო ბიუჯეტმა შეადგინა 181 568 ლარი;

2017 წლის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, პირველად განხორციელდა პროექტი „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“. პროექტის პირველ ეტაპზე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გაიმართა – 347 შეხვედრა, ხოლო 73 საოლქო საარჩევნო კომისიებში – 103 საჯარო შეხვედრა - „ამომრჩევლის დღე“. პროექტის მეორე ეტაპი „იპოვე შენი თავი – იპოვე შენი უბანი“ განხორციელდა საარჩევნო პერიოდში, რომლის ფარგლებშიც ამომრჩევლებს მიეცათ შესაძლებლობა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (ცესკოს ვებგვერდი - voters.cec.gov.ge, Android და iOS ოპერაციული სისტემა, სწრაფი გადახდის ტერმინალები (NOVA, TBC), პლანშეტი) ამომრჩეველთა ერთიან სიაში გადაემოწმებინათ საკუთარი მონაცემები.

2017 წელს, საარჩევნო ადმინისტრაციამ და ცესკოსთან არსებულმა სწავლების ცენტრმა განახორციელა შემდეგი საგანმანათლებლო პროექტები: „საარჩევნო განვითარების სკოლა“; „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ და „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“;

წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო პოლიტიკურ პარტიებთან მუშაობას. სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდა არასამთავრობო ორგანიზაციასთან - „ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის“ – NIMD - (Netherlands Institution for Multiparty Democracy). ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში უმაღლესი კომისრის ოფისის მხარდაჭერით, NIMD-თან თანამშრომლობის ფარგლებში, პოლიტიკურ პარტიებთან ჩატარდა შეხვედრები, სემინარები, ვორქ-შოპები. შეხვედრებზე, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განხილულ იყო სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკა. გარდა ამისა, ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში უმაღლესი კომისრის ოფისის მხარდაჭერით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებს მიეცათ პოლიტიკურ პარტიებში სტაჟირების გავლის შესაძლებლობა.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ხელი შეუწყო ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებთან შექმნილი

საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრის ფუნქციები; საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სასწავლო ფილმი ,,კენჭისყრის დღის პროცედურები“ სუბტიტრებით; საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სასწავლო ფილმი ,,კენჭისყრის დღის პროცედურები“ სუბტიტრებით; ცესკოს თავმჯდომარის მიმართვა და სხვადასხვა საინფორმაციო ფლაერები.

საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ საბჭოების შემადგენლობაში შედიან ადგილობრივი თვითმმართველობების, სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საბჭოს სხდომები, სადაც განხილულ იქნა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ იდენტიფიცირებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლი ახალგაზრდების დასაქმების პერსპექტივის გაუმჯობესებისა და საბოლოო ჯამში, მათი ჩართულობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, საქართველოს გაეროს ასოციაციასთან თანამშრომლობით, განახორციელა სტაჟირების საპილოტე პროგრამა „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო (1+4) პროგრამით“ მოსარგებლე პირებისათვის. პროგრამის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები კონკურსის საფუძველზე ჩაერთვნენ სტაჟირების პროცესში. სპეციალურად შექმნილმა კომისიამ უზრუნველყო სტაჟიორების შერჩევა შეფასების დადგენილი კრიტერიუმებით. „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ ეფექტურად განხორციელების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის წევრი უწყებების კეთილი ნების საფუძველზე, 65-მა წარმატებულმა აპლიკანტმა სამთვიანი სტაჟირება გაიარა 20 უწყებაში, მათ შორის საჯარო სტრუქტურებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, ცვლილება შევიდა „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილებაში. კერძოდ, განისაზღვრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის საჯარო უწყებებში სტაჟირების გავლის პროცედურები. განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს, რომელთაც გავლილი აქვთ „ქართულ ენაში მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა“ შესაძლებლობა მიეცემათ საჯარო სტრუქტურებში სტაჟირების გავლის გზით მიიღონ სათანადო გამოცდილება და განივითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩართულობასა და სამოქალაქო ინტეგრაციას.

განისაზღვრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის საჯარო უწყებებში სტაჟირების გავლის პროცედურები

2.1. მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა

მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების დაცვა და მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობა სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მათი ჩართულობის გასაძლიერებლად სახელმწიფო

უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში შექმნილია მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური ჯგუფების პრობლემების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებსა და ღონისძიებებს.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოში მცხოვრები ბოშათა თემის ჩართულობის უზრუნველყოფას. "სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის" ფარგლებში განხორციელდა რიგი ღონისძიებები, რომელიც მიზნად ისახავდა ინკლუზიური სწავლებისათვის შესაბამისი და ბოშების მიმართ კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას, სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას, საგანმანათლებლო სივრცეში ბოშათა ჩართულობის ხელშეწყობას, რის შედეგადაც საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობს 300-მდე ბოშა მოზარდი.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაიგეგმა შეხვედრები, მომზადდა საკონფერენციო პრეზენტაციები. სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისა და სოციალიზაციის მიზნით განხორციელდა არაერთი პროექტი (,,ხელსაყრელი გარემო თანაბარი შესაძლებლობლობისთვის“ ,,შინაარსიანად გავატაროთ თავისუფალი დრო“), რომლის შედეგადაც დასაქმდა 3 ბოშა. არაფორმალური განათლების გზით ხელი შეეწყო საგანმანათლებლო გარემოში ბოშების ჩართულობას.

გაგრძელდა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიური ენების სწავლება

2017 წლის განმავლობაში იუსტიციის სამინისტრომ განაგრძო ბოშათა რეგისტრაციის პროცესი. გატარდა შესაბამისი პროცედურები დაბადების რეგისტრაციასთან, მოქალაქეობასთან და ასევე, პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების მიზნით.

წლის განმავლობაში გაგრძელდა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიური ენების სწავლება (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური, უდიური, ასურული);

2.2. გენდერული მეინსტრიმინგი

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გენდერული თანასწორობის საკითხებთან მიმართებაში განახორციელა ცნობიერების ამაღლების კამპანია. ჩატარდა შეხვედრები, სადაც ყურადღება გამახვილდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა უფლებების დაცვის, მათი საჭიროებების განსაზღვრისა და არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაზე.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან და საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან პარტნიორობით

განხორციელდა პროექტი „ახალგაზრდები გენდერული თანასწორობისათვის“. პროექტის მიზანია სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ადრეული ქორწინების შედეგებისა და ოჯახში ძალადობის შესახებ.

პირველ ეტაპზე, მოხალისე თანატოლგანმანათლებლებმა ოჯახში ძალადობის თემაზე ქვემო ქართლის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების 61 სოფელში 103 შეხვედრა ჩაატარეს. შეხვედრები ჩატარდა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან - მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან, თემის ლიდერებთან. პროექტის მეორე ეტაპზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების 33 სოფელში გაიმართა 66 შეხვედრა ადრეული ქორწინების შესახებ. აღსანიშნავია, რომ შეხვედრები ჩატარდა სახელმწიფო ენაზე, საჭიროების შემთხვევაში დამხმარე ენად გამოიყენებოდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიური ენა. ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომზადდა და გავრცელდა შესაბამისი საინფორმაციო მასალები.

2.3. მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს ეკისრება წამყვანი როლი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით.

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთათვის მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევის მიზნით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უზრუნველყო მედია სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის მომზადება (2017-2020წწ.). სტრატეგიული დოკუმენტი ითვალისწინებს ამ მიმართულებით არსებული პრობლემური საკითხების დაძლევას კონკრეტული ინიციატივების, ღონისძიებების და საქმიანობის განხორციელების გზით. სტრატეგია მოიცავს რამდენიმე ძირითად მიმართულებას, რომლის იმპლემენტაციის პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები.

ტელემაუწყებლობა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გადაცემა „მოამბის“ 18:00 და 20:00 საათიანი გამოშვების ტრანსილირება ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენის მატარებელი ხმოვანი ბილიკების თანხლებით. აღნიშნული პროექტი -„გასაგებ ენაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობებისთვის” - რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი ინიციატივაა, რომელიც ხორციელდება აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით.

მიმდინარე წლის ივლისამდე ეთერში გადიოდა ყოველდღიური გამოშვებები სამ ენაზე (აფხაზურენოვანი – 23:00 საათზე, ოსურენოვანი- 23:30 საათზე, რუსულენოვენი - 00:00 საათზე; (ქრონომეტრაჟით 26 წთ)).

ხოლო, სექტემბრიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის ქოლგის ქვეშ ამოქმედდა შვიდენოვანი (ქართული, აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული, ინგლისური და რუსული) ვებ-პორტალი - www.1tv.ge, რომლის საშუალებით მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს შესაბამის ენაზე მომზადებულ მისთვის საინტერესო ინფორმაციას, უყუროს რეპორტაჟებსა და სიუჟეტებს. ვებ-პლატფორმის საფუძველზე დაგეგმილია ინტერნეტ-რადიო-ტელევიზიის შექმნა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ქოლგის ქვეშ ამოქმედდა შვიდენოვანი ვებ-პორტალი

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო პენიტენციურ დაწესებულებებს უზრუნველყოფს, ტექნიკურად შესაძლებელი ლიმიტის (15 არხი) ფარგლებში, ყველა ეროვნების ბრალდებულ/მსჯავრდებულისათვის საინტერესო სატელევიზიო არხების ხელმისაწვდომობას. გარდა ამისა, სამინისტრო უზრუნველყოფს სატელიტურ მაუწყებლობაში უფასოდ ხელმისაწვდომი სატელევიზიო არხების ჩართვას.

რადიომაუწყებლობა. 2017 წლის განმავლობაში ეთერში გადიოდა ყოველკვირეული რადიო-გადაცემა „ჩვენი საქართველო" (ქრონომეტრაჟი - 40წთ). გადაცემის თემატიკა მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით არსებული სირთულეები, საქართველოს ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება, სხვადასხვა ეთნოსების კულტურა, არსებული გამოწვევები, ტრადიციები და თავისებურებები.

სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე სინქრონულად ნათარგმნი "მოამბის" გამოშვებები იწერებოდა რადიოს სტუდიაში და გადაიცემოდა პირველი რადიოს ეთერში; ასევე რადიო 2-ის ეთერში გაგრძელდა ქურთულენოვანი (ქრონომეტრაჟი - 25წთ) ყოველკვირეული საინფორმაციო-შემეცნებითი-გასართობი გადაცემა.

ბეჭდვითი მედია. წლის განმავლობაში სახელმწიფოს მხარდაჭერით გამოიცა სომხურენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „ვრასტანი" (102 ნომერი, 3500 ტირაჟი) და აზერბაიჯანულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „გურჯისტანი" (93 ნომერი; ტირაჟი 2000). გაზეთები გავრცელდა როგორც თბილისში, ისე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაწესებულებებში.

2.4. ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებას, რაც სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

განათლების თითოეული საფეხური ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. უზრუნველყოფილია ასევე, ეთნიკური უმცირესობების

მშობლიურ ენებზე განათლების მიღების შესაძლებლობა (აზერბაიჯანული, სომხური, რუსული).

საქართველოში ფუნქციონირებს 211 არაქართულენოვანი საჯარო სკოლა და 76 არაქართულენოვანი სექტორი. მათ შორის - 82 აზერბაიჯანულენოვანი, 118 სომხურენოვანი, 11 რუსულენოვანი სკოლები. ასევე ქართულ-აზერბაიჯანული სექტორი - 32, ქართულ-რუსული სექტორი - 29, ქართულ-სომხური სექტორი-10, ქართულ-აზერბაიჯანულ-რუსული სექტორი - 1, ქართულ-რუსულ-სომხური სექტორი -1.

ამ მიმართულებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გადაიდგა არაერთი ნაბიჯი:

- შეიქმნა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო რესურსში გათვალისწინებულია ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური მრავალფეროვნების ასახვა, აღმზრდელ-პედაგოგების მიერ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა, თითოეულ აღსაზრდელში განსხვავებულის მიმართ პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება და სხვა;
- მომზადდა ეთნიკური უმცირესობების მშობლიური ენების (სომხური, აზერბაიჯანული, რუსული) სტანდარტი საბაზო საფეხურისათვის (VII-IX კლასები, პირველი ვერსია);
- ეთნიკური უმცირესობების მშობლიური ენების ექსპერტებთან ერთად მზადდება დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები) წლიური პროგრამები;
- სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები) მშობლიური ენის სტანდარტი;
- ყურადღება დაეთმო არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებას;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა და გაფართოვდა „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის არეალი;
- „საზაფხულო სკოლების“ პროგრამის „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ ფარგლებში, 2017 წელს საქართველოს რეგიონების მცირეკონტიგენტიანი საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის განხორციელებულ საზაფხულო ბანაკებში მონაწილეობა მიიღო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა 1045-მა მოსწავლემ.

ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით 2010 წლიდან მოქმედებს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზე ჩარიცხვაც ხორციელდება ზოგადი უნარების აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში საგრძნობლად გაიზარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების რაოდენობა:

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში საგრძნობლად გაიზარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების

რაოდენობა: 2015 წელს ჩაირიცხა 741 აბიტურიენტი; 2016 წელს - 960, ხოლო 2017 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე, სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 1047-მა აბიტურიენტმა:

- ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე 673;
- ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე 373;
- ოსურენოვანი ტესტის საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხა 1 აბიტურიენტი.

სახელმწიფო სასწავლო გრანტი 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე მოიპოვა 179-მა აბიტურიენტმა:

- ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე – 83 აბიტურიენტი;
- ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე – 95 აბიტურიენტი;
- ზოგადი უნარების ოსურენოვანი ტესტის საფუძველზე - 1 აბიტურიენტი.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების მიღების თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედი, სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტებით დაფინანსების სოციალური პროგრამა სხვა კატეგორიის სტუდენტებთან ერთად ითვალისწინებს იმ სტუდენტების სწავლის დაფინანსებას, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აზერბაიჯანულენოვან ან სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. ასევე, სოციალური პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია იმ სტუდენტების სწავლის დაფინანსება, რომლებიც სწავლობდნენ ახმეტის მუნიციპალიტეტში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (ეთნიკური ქისტებით მჭიდროდ დასახლებული პანკისის ხეობის სკოლები). აღნიშნული დაფინანსება გულისხმობს ბაკალავრიატის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე დაფინანსებას ოთხი წლის განმავლობაში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა საქმიანობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართულებით. ამ კუთხით, აქტიური საქმიანობა განახორციელა სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ. სკოლის მიზანია საჯარო სამსახურში კვალიფიციური კადრების დეფიციტის დაძლევა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ და მაღალმთიან რეგიონებში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების გზით, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სახელმწიფო ენის სწავლება.

წლის განმავლობაში სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ განახორციელა „საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების“ პროგრამა.

„საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების“ პროგრამის ექვსი დარგობრივი მიმართულების (სახელმწიფო შესყიდვები; საჯარო ორგანიზაციების მართვა; ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება საჯარო სექტორში; საჯარო ფინანსების მართვა; საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია; ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობა) ფარგლებში 2017 წელს სწავლება გაიარა 89 მსმენელმა.

2.4.1. სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება. განათლების თითოეულ საფეხურზე გაგრძელდა იმ პროგრამებისა და პროექტების განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას.

არაქართულენოვან სკოლებში განხორციელდა „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამა“. პროგრამის მიზანია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების გზით. ასევე პროგრამა ორიენტირებულია (2016-2019წწ.) არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების, როგორც საგნობრივი გამოცდებისთვის მომზადებაზე, ისე მათთვის სახელმწიფო ენის შესწავლაზე.

პროგრამის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების ორი ნაკადისთვის ჩატარდა სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსი, რომელშიც ჩართული იყო 1080 მსმენელი.

მასწავლებლებს, რომლებმაც დაადასტურეს სახელმწიფო ენის ცოდნა მინიმუმ ა2 დონეზე, შესაძლებლობა ქონდათ პროგრამის ფარგლებში გაევლოთ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული შემდეგი ტრენინგ-მოდულები:

- „სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მართვა, შეფასება“ - 284 მსმენელი;
- „ინკლუზიური სწავლება არაქართულენოვან სკოლებში“ - 126 მსმენელი.

პროგრამა „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება“ ასევე ითვალისწინებს სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების საკადრო დეფიციტის დაძლევას. ამ მიზნით სკოლებში მივლინებულ იქნა:

- 118 ქართულის, როგორც მეორე ენის კონსულტანტ-მასწავლებელი;
- 116 ქართულის, როგორც მეორე ენის და საზოგადოებრივი მეცნიერებების დამხმარე მასწავლებელი;
- 51 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებებით.

სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების მიმართულებით საქმიანობა განაგრძო სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლამ, რომელმაც განახორციელა

„სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა“. პროგრამის ფარგლებში საჯარო სექტორში დასაქმებულ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამხარეო ადმინისტრაციების, განათლების სამინისტროს რესურცენტრების, საჯარო სკოლების თანაშრომლებსა და ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს უფასოდ ისწავლოს სახელმწიფო ენა სკოლის დაქვემდებარებაში არსებულ 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრსა[2] და მობილურ ჯგუფებში. წლის განმავლობაში სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამით ისარგებლა 3247-მა ბენეფიციარმა.

გარდა ამისა, სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით სხვადასხვა უწყების მიერ განხორციელდა კონკრეტული ღონისძიებები:

სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში, მიმდინარე წლის თებერვლში აფხაზური ენის სწავლება დაინერგა ბათუმის №14 და სოფელ ფერიის საჯარო სკოლებში, ხოლო აგვისტოდან ქართული ენის შემსწავლელი კურსები გაიხსნა ქ. ახალქალაქის სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის ეპარქიაში.

აფხაზური ენის სწავლება დაინერგა აჭარის საჯარო სკოლებში

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სოციალური განყოფილება უზრუნველყოფს არაქართულენოვანი მსჯავრდებულების ჩართვას ქართული ენის შემსწავლელ პროგრამაში. ქართული ენის შემსწავლელ კურსებში 2017 წლის განმავლობაში ჩართული იყო 74 არაქართულენოვანი მსჯავრდებული.

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა ქართული ენის უფასო კურსები შესთავაზა საქართველოს არაქართულენოვან მოქალაქეებს. 2017 წლის განმავლობაში სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსი განხორციელდა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოს საზოგადოებრივ ცენტრებში.

2.5. სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განაგრძო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რომელიც ითვალისწინებდა შიდა გზების, სასმელი და საირიგაციო წყლის სისტემების, გარე განათების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაციას და სხვა.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 64 პროექტი საერთო ღირებულებით - 14 442 594 ლარი;

[2] ახალქალაქი, ნინოწმინდა, წალკა, ბოლნისი, დმანისი, მარნეული, გარდაბანი, საგარეჯო, ახმეტა, ლაგოდეხი.

- სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ფარგლებში ახალციხის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში დაფინანსდა 2 პროექტი ღირებულებით - 2 345 665 ლარი;
- მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 6 პროექტი ღირებულებით - 1 771 635 ლარი.

ქვემო ქართლის რეგიონი

- ქვემო ქართლის რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 67 პროექტი საერთო ღირებულებით - 20 714 746 ლარი;
- სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ფარგლებში დმანისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 პროექტი ღირებულებით - 279 597 ლარი;
- მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 4 პროექტი ღირებულებით - 1 004 787ლარი.

კახეთის რეგიონი

- კახეთში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 118 პროექტი საერთო ღირებულებით - 26 276 117ლარი;
- სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ახმეტის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 პროექტი საერთო ღირებულებით - 339 460 ლარი;
- მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა 5 პროექტი ღირებულებით - 1 223 313 ლარი.

2.6. კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა სხვადასხვა პროგრამების/პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება, რაც მიზნად ისახავდა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის დაცვა-განვითარებასა და პოპულარიზაციას. კულტურული თვითგამოხატვის ხელშეწყობისა და შემდგომი ინტეგრირების მიზნით მნიშვნელოვანი იყო მუზეუმებისა და თეატრების საქმიანობის ხელშეწყობა ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის გზით.

ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით, პრიორიტეტის – „ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა“ – ფარგლებში გაგრძელდა კულტურის სფეროში მოღვაწე ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების გამოფენების, გამოცემების, სპექტაკლების, საღამოების, სხვა კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა 14 პროექტის მხარდაჭერა.

წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეთნიკური უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის, მატერიალური და არამატერიალური კულტურული ფასეულობების დაცვის საკითხს.

კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- **„პანკისობა 2017“** - სახელმწიფო მინისტრის აპარატის ჩართულობით, პანკისობის დღესასწაული სოფელ დუისში მასშტაბურად აღინიშნა. ღონისძიებების ფარგლებში, სხვადასხვა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი იყო საქმიანობის ამსახველი გამოფენები. სახალხო დღესასწაულის ფარგლებში გაიმართა კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიებები, დაჯილდოვდნენ დამსახურებული, საპატიო მოქალაქეები.
- **ვაინახური კულტურის კვირეული** - სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა მრავალფეროვანი პროგრამა - კონცერტი, საჯარო ლექციები, ქისტური ფოლკლორისა და ხელოვნების ნიმუშების გამოფენა, ვაინახურ თემაზე შექმნილი წიგნების პრეზენტაცია, პანკისის ხეობასა და პანკისელ ქისტ ქალებზე გადაღებული ვიდეორგოლების პრეზენტაცია, ქისტი პოეტების შემოქმედების გაცნობა, ბავშვთა თეატრის სპექტაკლი, სპორტული ღონისძიებები და სხვა.
- **მულტიეთნიკური ხელოვნების ფესტივალს ''ერთი ცის ქვეშ - კულტურათა დიალოგი“** - საქართველოს გაეროს ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ასევე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით გაიმართა ყოველწლიური მულტიეთნიკური ხელოვნების ფესტივალი ''ერთი ცის ქვეშ - კულტურათა დიალოგი“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ქართველი და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები. 2017 წლის განმავლობაში, ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა ორი კონცერტი (ქ. ახალციხეში და ქ. რუსთავში).
- სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ფოლკლორული კონცერტი გაიმართა ქ. მცხეთაში. კონცერტის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა წაიკითხეს ამონარიდები „ვეფხისტყაოსნიდან“ ქართულ და მშობლიურ ენებზე. ამავე ღონისძიებაზე დაჯილდოვდნენ, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გამოცხადებული ესეების კონკურსის „ქართული ენა - გზა ჩემი წარმატებისაკენ“ გამარჯვებულები;
- ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში განხორციელდა არაერთი ღონისძიება. საქართველოს გაეროს ასოციაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა ოფიციალური მიღება, სადაც დაჯილდოვდნენ მედია კონკურსის „საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნება“ გამარჯვებულები.
- საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ჩეჩენი და ინგუში ხალხის დეპორტაციის 73 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო. საღამოს სხვადასხვა სამეცნიერო წრის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები,

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და პანკისის ხეობიდან ჩამოსული სტუმრები დაესწრნენ;

- სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოს პარლამენტის ორგანიზებით, შოთა რუსთაველის სახელობის საპარლამენტო დარბაზში ოსურ-ქართული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. ღონისძიების მიზანი იყო ოსური კულტურის წარმოჩენა/პოპულარიზაცია. ღონისძიებაზე წარმოდგენილ იქნა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციასთან არსებული საცეკვაო ანსამბლ "ნართების", ვოკალური ანსამბლ "ლიახვისა" და ცხინვალის თეატრის მიერ შესრულებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები.

2.7. საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის უშუალო ჩართულობითა და ორგანიზებით გაგრძელდა საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში. კერძოდ:

- ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი) სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლებმა გამართეს საინფორმაციო შეხვედრები. შეხვედრებზე, რომელსაც ქვემო ქართლის, კახეთისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები, ასევე სტუდენტები ესწრებოდნენ, განხილულ იქნა სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით 2016 წელს განხორციელებული და 2017 წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებები.
- საინფორმაციო კამპანია უფროსკლასელებთან სასწავლო პროგრამებსა და განათლების სიახლეებზე - სახელმწიფო მინისტრის აპარატმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ცნობიერების ამაღლების კამპანიას უმაღლესი განათლების სფეროში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის განკუთვნილი შეღავათებისა და შესაძლებლობების შესახებ. გაიმართა შეხვედრები „ქართულ ენაში მოსამზადებელი სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამის“, „1+4 პროგრამის“ თაობაზე. (ბოლნისის, ახალქალაქის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტები)
- სამცხე-კავახეთის რეგიონში ციფრული მაუწყებლობის ხელმისაწვდომობის სპეციალური პროექტის პრეზენტაცია - რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან თანამშრობლობით სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმოამდგენლებს, ახალგაზრდებს მიაწოდა ინფორმაცია ადგილობრივი არხების ATV 12 და ფარვანას ციფრული გავრცელების შესახებ. სოციალურად დაუცველი ოჯახების ნაწილს უსასყიდლოდ გადაეცა ციფრული მაუწყებლობის სპეციალური ხელსაწყოები (სეთ თოპ ბოქსები).

- ეკონომიკის და მდგრადი განვითარების, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროების წარმომადგენლებთან ერთად გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები და დისკუსიები ევროინტეგრაციის პროცესის თაობაზე, კერძოდ, უვიზო მიმოსვლის, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის კუთხით სოფლის მეურნეობის განვითარების იმ შესაძლებლობების, სარგებელისა და პერსპექტივების შესახებ, რაც ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი). შეხვედრებს ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლები, ფერმერები და მეწარმეები.
- საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ საინფორმაციო კამპანიის მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო პროექტის „ახალგაზრდა ევროპელი ელჩების“ განხორციელება. პროექტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის შესახებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მათთვის გასაგებ ენებზე.

  პროექტის ფარგლებში, ახალგაზრდებისგან შემდგარმა მობილურმა ჯგუფმა, რომლებმაც გაიარეს სპეციალურად მათთვის დაგეგმილი თემატური სკოლა, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების 5 სოფელში ჩაატარეს 8 საინფორმაციო შეხვედრა, გავრცელდა შესაბამისი მასალები.

  პროექტი განხორციელდა სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრისა და საქართველოს გაეროს ასოციაციის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის” (PITA) მიერ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

2.8. საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება

საქართველო სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების დაცვის კუთხით ასრულებს საერთაშორისო ვალდებულებებს

საქართველო სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების დაცვის კუთხით ასრულებს საერთაშორისო ვალდებულებებს. საქართველო მიერთებულია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპულ ჩარჩო კონვენციას და, შესაბამისად, საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აღებული აქვს ის ვალდებულება, რაც გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვას და მათი ღირსეული მონაწილეობის უზრუნველყოფას ქვეყნის განვითარებაში. აღნიშნული მექანიზმიდან გამომდინარე, სახელმწიფო მინისტრის აპარატის

კოორდინირებით მომზადდა მონიტორინგის მესამე ციკლის ფარგლებში სახელმწიფო ანგარიში, რომელიც მიმდინარე წლის ივლისში წარედგინა ევროპის საბჭოს. ანგარიშში ასახულია 2012-2017 წლების განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა და ზოგადად, თანასწორობის, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით არსებული მდგომარეობა.

2017 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდა სამოქალაქო სექტორთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან, სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან. ასევე, სახელმწიფო მინისტრის აპარატს მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობასთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ამავდროულად, სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენლები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ რეგიონებში კოორდინირებას უწევდნენ აპარატის საქმიანობას ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში.
სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების, ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელების მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერა ხორციელდებოდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.